

კონფერენციის თეზისების და ნაშრომის გაფორმების წესი

თეზისების გაფორმებისას საჭიროა დავიცვათ შემდეგი პარამეტრები:

1. მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2,5 სმ;
2. თეზისები უნდა წარმოადგინოთ: **Sylfaen**-ში; შრიფტის ზომა - 11; სტრიქონებს შორის დაცილება -1,15;
3. ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში იწერება ავტორის სახელი, გვარი, ფაკულტეტის დასახელება, სწავლების საფეხური, სწავლების წელი (კურსი); აქვე უნდა მიუნიშნოთ თემის ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი/წოდება;
4. თემის სათაური იწერება ფურცლის შუაში მე-3 პუნქტში მოთავსებული ინფორმაციის შემდეგ, შრიფტის ზომა - 12; მოცულობა - არა უმეტეს გვერდ ნახევარი(350 სიტყვა).

მოხსენების გაფორმების წესი და ტექსტის ფორმატი:

1. მოხსენებები უნდა იყოს დაწერილი ქართულ ენაზე;
2. ქართულ ენაზე წარმოდგენილ მოხსენებებს თან უნდა ახლდეს რეზიუმე ინგლისურ ენაზე (1-2 გვ.)
3. მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2,5 სმ;
4. სტატიები ქართულ ენაზე წარმოსადგენია **Sylfaen**-ში; შრიფტის ზომა - 11; სტრიქონებს შორის დაცილება - 1,15; შრიფტი ინგლისური ტექსტისათვის - **Times New Roman**; შრიფტის ზომა - 11, სტრიქონებს შორის დაცილება -1,15;
5. ფურცელი არ ინომრება;
6. ნახაზები, ნახატები, სქემები, ფოტოები, ილუსტრაციები, ცხრილები მოცემული უნდა იყოს შესაბამისი ტექსტის ქვეშ ან მომდევნო გვერდზე;
9. ნახაზები, ნახატები, სქემები, ფოტოები, ილუსტრაციები, ცხრილები (ფორმატი - 90X120მმ-დან 130X120მმ-მდე) უნდა დაინომროს არაბული ციფრებით;
10. თუ ტექსტში მოცემულია მხოლოდ ერთი ილუსტრაცია, იგი არ ინომრება;
11. საჭიროების შემთხვევაში, ნახაზები, ნახატები, სქემები, ფოტოები, ილუსტრაციები, ცხრილები შეიძლება დასათაურდეს და/ან დაერთოს მცირე განმარტება იქვე, მასალის სათაურის ქვემოთ;
12. ნახაზი უხარვეზოდ უნდა აისახებოდეს ეკრანზე (გარჩევის უნარიანობა 96-150 dpi);
13. მოხსენების ტექსტი უნდა შეიცავდეს: მოხსენების სახელწოდებას (ცენტრირებული, **Bold**, შრიფტის ზომა - 14), მოკლე ანოტაციას (არაუმეტეს 8 სტრიქონისა) სტატიის ენაზე (დახრილი, **Italic**), შრიფტის ზომა - 11); ანოტაცია არ უნდა შეიცავდეს ციტატებს გამოყენებული ლიტერატურიდან და/ან ნახაზებს, სქემებს, ფოტოებს, ილუსტრაციებს, ცხრილებს; საკვანძო სიტყვები - არა უმეტეს ხუთისა - სტატიის ენაზე (დახრილი, **Italic**, შრიფტის ზომა - 12), სტატიის ძირითადი ნაწილი, რომელიც მოიცავს შესავალს (აქტუალობა), ძირითად ტექსტსა და დასკვნას - (შრიფტის ზომა - 11);
14. წარმოდგენილ უნდა იქნას მოხსენების ელექტრონული ვერსია;
15. ავტორი ვალდებულია, დაიცვას ციტირების სტილი;
16. შემოსული მოხსენებები გაივლიან რევენზირებას;
17. ავტორი პასუხისმგებელია სტატიის შინაარსსა და მის გამოქვეყნებაზე;

18. უნივერსიტეტი არ აგებს პასუხს ავტორების და/ან მესამე პირებისა და ორგანიზაციების წინაშე, თუ ისინი ამ პუბლიკაციით რაიმე ფორმით დაზარალდებიან.

ციტირების ნიმუში

მოხსენების ტექსტის ბოლოს მითითებულ გამოყენებული ლიტერატურის სიაში გამოცემები დალაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, კრებულის სათაურის) გვარების მიხედვით, ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები.

1. მონოგრაფია

სიაში:

აბაშიძე დ., 2005. რეგიონული ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, „ინტელექტი“, გვ. 10

ტექსტში:

[აბაშიძე დ., 2005: 10]

2. ნაშრომი:

კრებულში

სიაში:

აბაშიძე დ., 2005, რეგიონული ეკონომიკური პრობლემები. კრებულში: „მდგრადი განვითარების პრობლემები“, თბილისი, „ინტელექტი“, გვ. 10

ტექსტში

[აბაშიძე დ., 2005: 10]

ჟურნალში

სიაში:

აბაშიძე დ., 2015, რეგიონული ეკონომიკური პრობლემები. ჟ.: “ეკონომისტი”, ტომი 10, № 3, გვ. 30

ტექსტში

[აბაშიძე დ., 2015: 30]

3. თუ წიგნს (სტატიას) ჰყავს რამდენიმე ავტორი, ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება პირველად მითითებული ავტორის გვარი და შემდეგ ჩვეულებრივად, როგორც ერთი ავტორის შემთხვევაში [აბაშიძე დ... 2005: 10]

4. კრებულები სიაში: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, „ეკონომიკა“, 2015, გვ.15, ტექსტში დამოწმებული იქნება ასე: [თსუ ... 2015:15]

5. უცხოენოვანი წიგნის მითითების შემთხვევაში, ავტორის გვარი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ხოლო დამოწმების წესი იქნება ისეთივე, როგორც არის ქართულ ენოვანი წიგნის მითითებისას. მაგალითად, წიგნი Stanley G. Becker, 1964, Human Capital. Columbia University Press : 35 დამოწმებული იქნება ასე: [Stanley, 1964:35].

6. ენციკლოპედიის ან ლექსიკონის დამოწმება ხდება ავტორის (ავტორთა გვარების) ან სათაურის პირველი სიტყვის მითითებით, ზუსტად ისე, როგორც ზემოთ.

7. თუ ავტორს ერთსა და იმავე წელს გამოცემული აქვს ორი ან მეტი წიგნი, ავტორის გვარის შემდეგ მიეთითება შესაბამისადა, ბ და ა.შ. ნიმუში: [აბაშიძე ა., 2007:181].

შენიშვნები:

1. ავტორისეული შენიშვნები ჩატანილი უნდა იყოს სქოლიოში, შესაბამისი გვერდის ბოლოს და დაინომროს ერთიანი ნუმერაციით მთელ სტატიისაში. სქოლიოს შრიფტის ზომა - 9.

სტატიის შიგნით ტექსტის ციტირებისას იგი უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტიდან დახრილი შრიფტით (იტალიკით). ციტატის შრიფტის ზომა - 11.